ტესტი ისტორიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 1-24.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რა მოვლენიდან ხდება წელთაღრიცხვის ათვლა ქორონიკონით?

ა. სამყაროს შექმნიდან

ბ. ათი მცნების მიღებიდან

გ. წარღვნიდან

დ. ქრისტეს შობიდან

2. რომელი დამხმარე ისტორიული დისციპლინა შეისწავლის ილუსტრაციაზე გამოსახულ ობიექტს?



ა. ბონისტიკა

ბ. პალეოგრაფია

გ. ჰერალდიკა

დ. გენეალოგია

3. ძველი აღმოსავლეთის რომელ სახელმწიფოში არსებობდა ტაძარი, რომლის ფრაგმენტიც აღბეჭდილია ფოტოზე?

ა. ასურეთში

ბ. ირანში

გ. ეგვიპტეში

დ. მითანში

4. რომელი ძველი ბერძენი დრამატურგი ასახავდა სატირულად ათენში არსებულ ვითარებას თავის ნაწარმოებებში?

ა. არისტოფანე

ბ. პლუტარქე

გ. ქსენოფონტე

დ. ვერგილიუსი

5. რაში მდგომარეობდა ძველი რომის მეექვსე მეფის, სერვიუს ტულიუსის რეფორმის არსი?

ა. დააფუძნა ასი წარმომადგენელისაგან შემდგარი სენატი

ბ. შექმნა პატრიციებისა და პლებეების სოციალური ფენები

გ. დააწესა ორი კონსულის არჩევითი თანამდებობა

დ. დაყო მოქალაქეები ქონებრივი ცენზის მიხედვით

6. ვინ არის ავტორი ნაშრომისა „კომენტარები გალებთან ომის შესახებ“?

ა. მარკუს კატონი

ბ. ტაციტუსი

გ. თუკიდიდე

დ. გაიუს იულიუსი

7. რომელი იმპერატორის მმართველობისას აიგო კონსტანტინოპოლში წმიდა სოფიას ტაძარი?

ა. კონსტანტინე პორფიროგენეტის

ბ. იუსტინიანე დიდის

გ. მიხეილ დუკას

დ. ბასილი ბულგართმმუსვრელის

8. რა უკავშირდება ასურელი მამების სახელს?

ა. სამონასტრო ცხოვრების განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში

ბ. ქრისტიანობის ქადაგება დასავლეთ საქართველოში

გ. უკანასკნელი წარმართული ტაძრების შემუსვრა ლაზთა სამეფოში

დ. ხატმებრძოლების წინააღმდეგ ბრძოლა ქართლის სამეფოში

9. რას გულისხმობს ტერმინი - „კაროლინგური რენესანსი“?

ა. ფრანკთა სამეფოს ნაცვლად ფრანკთა იმპერიის ჩამოყალიბებას

ბ. ფრანკთა იმპერიაში კულტურულ-საგანმანათლებლო აღმავლობას

გ. ფრანკთა და არაბთა კულტურის შერწყმის შედეგად განვითარებულ პროცესს

დ. ფრანკებში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას

10. რა სახელწოდებითაა ცნობილი ისტორიოგრაფიაში აღმოსავლეთ სლავთა პირველი სახელმწიფო, რომელიც IX საუკუნეში ჩამოყალიბდა?

ა. ნოვგოროდის რესპუბლიკა

ბ. მოსკოვის დიდი სამთავრო

გ. რეჩ-პოსპოლიტა

დ. კიევის რუსეთი

11. X საუკუნეში შექმნილი რომელი ქართული ხელნაწერი ითვლება სასწავლო წიგნად?

ა. უდაბნოს მრავალთავი

ბ. ათონის კრებული

გ. სამოთხის კარი

დ. შატბერდის კრებული

12. რომელი ტიტული მიიღო ყველაზე ადრე ბაგრატ III-მ?

ა. კურაპალატის

ბ. აფხაზთა მეფის

გ. სევასტოსის

დ. ქართველთა მეფის

13. სხვა მიზეზებთან ერთად, რომელი დოგმატისადმი განსხვავებული დამოკიდებულება გახდა „დიდი სქიზმის“ მიზეზი XI საუკუნეში?

ა. ქრისტეს ბუნებოვნების

ბ. ნათლობის

გ. მკვდრეთით აღდგომის

დ. სული წმიდის

14. რომელი საგანმანათლებლო ცენტრი არსებობდა ბიზანტიის იმპერიაში XI საუკუნეში?

ა. ათენის რიტორიკული სკოლა

ბ. ნიკეის უნივერსიტეტი

გ. მანგანის აკადემია

დ. ეფესოს სემინარია

15. უილიამ დამპყრობელთან დაკავშირებული რომელი მსჯელობაა მართებული?

ა. იყო ნორმანდიის ჰერცოგი, რომლმაც შემდგომში ინგლისის მეფის ტიტული მიიღო

ბ. როგორც ბურგუნდიის ჰერცოგმა, ასწლიანი ომის დროს მხარი ინგლისელებს დაუჭირა

გ. კარლოს დიდის მიერ ესპანეთის მარკგრაფად იყო დანიშნული და მავრებს ებრძოდა

დ. ანჟუს გრაფი იყო და შინაომში გამარჯვების შემდეგ საფრანგეთის ტახტი დაიკავა

16. ვარდების ომთან დაკავშირებული რომელი მსჯელობაა მართებული?

ა. ველფები და შტაუფენები საღვთო რომის იმპერიაში პირველობისთვის იბრძოდნენ

ბ. არმანიაკები და ბურგინიონები საფრანგეთის ტახტს ეცილებოდნენ ერთმანეთს

გ. ლანკასტერები და იორკები ინგლისის მეფობისთვის ებრძოდნენ ერთურთს

დ. კასტილიელები და არაგონელები ესპანეთის გაერთიანებისთვის იბრძოდნენ

17. რომელი ისტორიული მოვლენაა ცნობილი „ბართლომეს ღამის“ სახელწოდებით?

ა. ანგლიკანების აჯანყების დაწყება სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ

ბ. ლუთერანი ლიდერების საიდუმლო შეკრება აუგსბურგში

გ. ჰუსიტების მიერ იმპერატორის წარმომადგენლების დახოცვა

დ. კათოლიკეთა მიერ ჰუგენოტების მასობრივი ჟლეტა

18. საფრანგეთის სამეფოს ქვეშევრდომთა ცხოვრების რა პრინციპულ საკითხს არეგულირებდა ანრი IV-ის მიერ გამოცემული „ნანტის ედიქტი“?

ა. რწმენის თავისუფლების

ბ. წოდებრივი თანასწორობის

გ. წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევითობის

დ. საერო და სასულიერო პირთა შორის იერარქიის დაწესების

19. რომელი ომის შემადგენელი ნაწილი იყო ბრძოლა ევროპული სახელმწიფოების კათოლიკე და პროტესტანტ მმართველებს შორის?

ა. ჩრდილოეთის ომის

ბ. უცნაური ომის

გ. ოცდაათწლიანი ომის

დ. შვიდწლიანი ომის

20. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ შეუწყო ხელი ეკატერინე II-ს, მოეწყო სახელმწიფო გადატრიალება?

ა. პრუსიასთან დადებული ზავით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ

ბ. ყირიმის ომში განცდილმა მძიმე მარცხმა

გ. ალიასკის მიყიდვამ აშშ-სათვის

დ. პუგაჩოვის აჯანყებამ

21. ვის უწოდებდნენ იაკობინელებს საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში?

ა. დამფუძნებელი კრების მხარდამჭერ სასულიერო პირებს

ბ. რევოლუციონერთა ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური ჯგუფის წევრებს

გ. პარიზელ მუშათა გაერთიანების წევრებს

დ. მეფის აბსოლუტური ხელისუფლების მომხრე თავად-აზნაურებს

22. ევროპის რომელ სახელმწიფოში მიმდინარე სამოქალაქო ომში ჩაერია ჰიტლერი XX საუკუნის 30-იან წლებში?

ა. ავსტრიაში

ბ. ესპანეთში

გ. იუგოსლავიაში

დ. იტალიაში

23. რომელი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა 1938 წელს მიუნხენის შეთანხმებით?

ა. პოლონეთის

ბ. უნგრეთის

გ. ჩეხოსლოვაკიის

დ. ფინეთის

24. რა მიზნით გადასხეს ვერმახტის შემადგენლობაში მყოფი ქართული ბატალიონი კუნძულ ტექსელზე?

ა. კუნძულის დასაცავად ბრიტანული დესანტისაგან

ბ. კუნძულის მკვიდრთა აჯანყების ჩასახშობად

გ. კუნძულიდან ინგლისური ნაწილების განსადევნად

დ. კუნძულის მესამე რაიხთან შესაერთებლად

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 25-28.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები ან პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

25. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები მათი წარმოშობის დროის მიხედვით:

1. ურარტუ
2. ეგვიპტე
3. ხეთების სამეფო

26. ქრონოლოგიურად დაალაგეთ რომის იმპერიაში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. ნიკეაში I მსოფლიო საეკლესიო კრების ჩატარება
2. კონსტანტინე დიდის მიერ „მილანის ედიქტის“ გამოქვეყნება
3. თეოდოსიუს I-ის მიერ წარმართული ღვთისმსახურების აკრძალვა

27. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ქართული კულტურისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები:

1. ნიკიფორე ირბახის მონაწილეობით ქართულ-იტალიური ლექსიკონის გამოცემა
2. ქართული სტამბის დაარსება თბილისში
3. მამუკა თავაქარაშვილის მიერ ვეფხისტყაოსნის გადაწერა

28. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ქართული ფილმები მათში ასახული ეპოქების მიხედვით:

1. „არაჩვეულებრივი გამოფენა“
2. „მიმინო“
3. „ვერის უბნის მელოდიები“

ინსტრუქცია დავალებისთვის № 29.

მოსწავლეს მიეცა რუკა, რომელსაც არ აქვს სათაური და ლეგენდის ნაწილში მთლიანად ან ნაწილობრივ აკლია ზოგიერთი პირობითი ნიშნის განმარტება. მას საკუთარი ცოდნისა და რუკაზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით, უნდა ეპასუხა დასმული კითხვებისთვის.

მოსწავლის მიერ გაცემული პასუხებიდან ორი (2) შეიცავს შეცდომას.

თქვენ უნდა იპოვოთ შეცდომები, გადმოწეროთ ისინი პასუხების ფურცლის სათანადო ადგილზე (№ 1 და № 2) და იქვე მიუწეროთ სწორი პასუხები. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 29. რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

მოსწავლისთვის დასმული კითხვები:	მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:
29.1. რომელ სახელმწიფოებს შორის მიმდინარე ომის სამხედრო მოქმედებებია დატანილი რუკაზე?	**29.1**. რუსეთსა და ოსმალეთს.
29.2. რომელმა სახელმწიფომ გაიმარჯვა ომში? აუცილებლად განმარტეთ რუკაზე არსებული რა ინფორმაციის საფუძველზე გააკეთეთ საკუთარი დასკვნა.	**29.2.** რუსეთმა; რადგან რუკაზე უფრო მეტი წითელი ისრებია.
29.3. დაასახელეთ ქალაქი, რომელიც ომში გამარჯვებულმა მხარემ დაიკავა და დღეს ის საქართველოს შემადგენლობაშია.	**29.3.** ბათუმი.
29.4. ყველაზე მეტად რომელი ქალაქის დაკავება გაუჭირდა გამარჯვებულ მხარეს? მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ.	**29.4.** ყარსის, რადგან მისი აღება მხოლოდ ალყის შემდეგ მოხერხდა.
29.5. რუკაზე აღნიშნული რომელი მესამე სახელმწიფო არ მონაწილეობდა ომში?	**29.5.** ერაყი.

ინსტრუქცია დავალებისთვის № 30.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

დავალება 30. ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

N1

N2

N3

წარწერები პლაკატებზე: **N1** „რატომ არ ხარ არმიაში?“ **N2** „ანტანტის ძაღლები“
N3 „უკან დახევისას ისინი წვავენ პურს“

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(2) **30.1.** რომელი ისტორიული პროცესის ამსახველია სამივე პლაკატი და რა სახელით მოიხსენიებენ პლაკატებზე ასახული ისტორიული პროცესის მონაწილე ორ მოწინააღმდეგე მხარეს?

(2) **30.2.** მოცემული პლაკატებიდან ორი ემსახურება ისტორიულ პროცესში მონაწილე ერთ-ერთი მხარის პროპაგანდისტულ მიზნებს. დაასახელეთ ეს მხარე და მიუთითეთ შესაბამისი პლაკატების ნომრები. თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ პლაკატებზე არსებული ინფორმაციით.

(2) **30.3.** პლაკატებზე ასახული ისტორიული პროცესის მონაწილე რომელ მხარეს უწევს პროპაგანდას დარჩენილი ერთი ილუსტრაცია? თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ პლაკატზე არსებული ინფორმაციით.

(1) **30.4.** რომელი მხარის გამარჯვებით დასრულდა პლაკატებზე ასახული ისტორიული პროცესი?

ინსტრუქცია დავალებისთვის № 31. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 19.

დავალება 31. ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

ჯუზეპე ჯუდიჩე საქართველოს შესახებ

ძველად საქართველოს თვითმპყრობელი მეფე განაგებდა. მისი საცხოვრებელი და ადგილსამყოფელი იყო ბაშიაჩუკის პროვინციაში, ქალაქ ქუთაისში (ქოთათისი). ეს ქალაქი დღესაც არსებობს, თუმცა ნაწილობრივ დანგრეულია. სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა უკანასკნელ ომში, რომელიც მეფე ბაშიაჩუკს ანუ ალექსანდრეს გაუმართა, ამ ქალაქში მეფის სასახლე ნაწილობრივ დაანგრია, მაგრამ მეფემ ის ხელახლა აღაშენა.

იმ დროს, როცა საქართველოს თავისი მკვიდრი მეფეები ჰყავდა, მისი საზღვრები აღმოსავლეთით თავრიზამდე აღწევდა, დასავლეთით - არზრუმამდე.

ქართველები ჩვენს წმინდა სარწმუნოებაზე მოქცეულან ქრისტეს წელთაღრიცხვიდან 327 წელს წმინდა სილვესტროს პაპობის მეთოთხმეტე წელს და იმპერატორ კონსტანტინეს მმართველობის ოცდამეორე წელს ერთი ქრისტიანი ტყვე ქალის მიერ, რომელსაც ქართველები წმინდა ნინოს უწოდებენ, რაც წმინდა ქრისტიანეს ნიშნავს.

რამდენიმე ხანს ერისთავები თავიანთი მეფე ბაშიაჩუკის მორჩილნი და გამგონნი ყოფილან, მაგრამ შემდეგ მას განდგომიან. ყოველ მათგანს დამოუკიდებელი ცხოვრება დაუწყია, როგორც უფლებაშეუზღუდველ მთავარს. დღეს კი ლევან დადიანად წოდებული მთავარი ყველაზე ძლიერია. მან დაიმორჩილა და მოხარკედ გაიხადა მეფე ბაშიაჩუკი, მთავარი გურიელი და აფხაზეთის მთავარი. სიმონ გურიელი, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოყვარე იყო, ბრძოლაში დაატყვევა, სამეფო მისი მიიტაცა, თვალები დასთხარა და ამ მთავრის მეუღლე, დადიანის და ძალად შერთო ცოლად ქრისტიან როსტომ-ხანს, შემდეგ

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11

გამაჰმადიანებულს, რომელიც მორჩილობს სპარსეთის ხელმწიფეს.

საქართველოს უამრავი ომებისაგან გამოწვეული უბედურება განუცდია. ახლა ჩვენს დროში, დაახლოებით 30 წელი იქნება, რაც სპარსეთის ხელმწიფემ შაჰ-აბასმა განსაკუთრებით გაანადგურა ქართლ-კახეთი. მან მთელი კახეთის მკვიდრნი აჰყარა და სპარსეთის პროვინცია ფერაბადში გადაასახლა. ამ უკანასკნელ წელს ხელახლა აუჯანყდა სპარსეთის შაჰს ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზი დაუთ ხან განჯელთან (ეს ქალაქი სპარსეთის მხარესაა) ერთად. ამის გამო სპარსეთის უძლიერესმა ჯარმა ხელმეორედ გაანადგურა კახეთი, თუმცა ქართლს იმდენი ზარალი არ მოსვლია, რადგან როსტომ ხანი იცავდა ამ პროვინციას, რომელიც მას ეკუთვნოდა, როგორც ტახტის მემკვიდრეს. სპარსეთის მეფემ ეს პროვინცია მას დაუთმო ხელშეკრულების იმ მუხლით, რომლითაც როსტომს უნდა ეცნო მისი სუვერენობა და შაჰის სამფლობელოს ვასალურ დამოკიდებულებაში დარჩენილიყო.

რაც შეეხება სამეგრელოს მთავარს, იგი დღეს ყველა სხვა მთავარზე უძლიერესია. მან ომში ყველას სძლია და დაიმორჩილა. ამ მთავართა მტრობის გამომწვევი მიზეზი კი ის იყო, რომ დადიანის მოსაკლავად მოაწყვეს შეთქმულება, რათა მთავრად აერჩიათ დადიანის უმცროსი ძმა იოსები. ერთ საღამოს, როცა დადიანი ვახშმობდა, შუბით დასჭრეს, ეგონათ მოკლეს და ბოროტმოქმედებმა სხვადასხვა მხარეს შეაფარეს თავი. დაჭრილი მთავარი განიკურნა და ნელ-ნელა ყველა მთავარი გაანადგურა. აფხაზეთის მთავარზე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

მეტადაა გაჯავრებული, რადგან აფხაზეთის მთავრის ქალი ჰყავდა ცოლად, მან კი უღალატა. ამისათვის მას ცხვირი და ყურები მოაჭრა და თავის სამშობლოში გააგდო, მისი საყვარელი კი ზარბაზანში შეაგდო და ჰაერში ააფეთქა. პირველი ცოლისაგან ორი ვაჟი დარჩა. ამის მერე ცოლად შეირთო თავისი ბიცოლა, მკვიდრი ბიძის მეუღლე. ჯერ ისევ ცოცხალ ბიძას, ლიპარტიანს ცოლი ძალად წაართვა და მასთან იქორწინა.

სამეგრელო პონტოს მცირე ნაწილია, რომელსაც ერთი მხრიდან აფხაზეთი საზღვრავს, მეორე მხრიდან კი შავი ზღვა, პონტო კუშინოდ წოდებული. დანარჩენ ორ მხარეს კი გურია და იმერეთი აკრავს. ეს მხარე უმეტესად მთაგორიანია, ხშირი ტყეებით და მდინარეებით დასერილი. ჰავა მეტისმეტად ნესტიანია, რაც იწვევს უამრავ დაავადებებს. ქალაქი არ გააჩნია. აქაა მხოლოდ ერთი სასახლე, რომელიც დღევანდელი მთავრის, ლევან დადიანის მიერაა აშენებული.

სამეგრელოში მთავარი ინიშნება მემკვიდრეობით. იგი ყოველთვის დადიანად იწოდება, რომელიც ამავე დროს გვარიცაა. ხონთქარს ხარკის სახით ყოველწლიურად უგზავნის ქალ-ვაჟებს, მიმინოებს და სხვ. ამას შიშის გამო კი არ სჩადის, არამედ უფრო იმიტომ, რომ უზრუნველყოფილი იყოს და თავის სამთავროს უცვლელი ძველი კანონებით განაგებდეს. ორ-სამ წელიწადში ერთხელ სპარსეთის ხელმწიფის კარზე დიდ ელჩობას აგზავნის ხოლმე საჩუქრებით. ელჩობა შედგება საპატიო თანამდებობის პირთაგან. სამაგიეროდ სპარსული თავაზიანობის შესაბამისად ღებულობს საჩუქრებსა და წერილებს.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

(2) **31.1.** რომელი საუკუნის რომელი ნახევრის ამბებს აღწერს ავტორი, როგორც თანამედროვე? დაწერეთ ტექსტში არსებულ რა ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთეთ საკუთარი დასკვნა.

(2) **31.2.** საქართველოს რომელი კუთხის შესახებ გვაწვდის ყველაზე მეტ ცნობებს ავტორი და რა გარემოებითაა განპირობებული, რომ ის უკეთ იცნობს ამ კუთხეს და მეტი ინფორმაცია აქვს მის შესახებ?

(2) **31.3.** წყაროს მიხედვით, რა სარწმუნოებისაა დოკუმენტის ავტორი? დაწერეთ ტექსტში არსებულ რა ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთეთ საკუთარი დასკვნა.

(2) **31.4.** რა ერქვა სიმონ გურიელისგან წაგვრილ ცოლს და რა წვლილი მიუძღვის მას ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **31.5.** ტექსტში არსებული ცნობების მიხედვით, რომელი იყო ძველად საქართველოს თვითმპყრობელი მეფის სატახტო ქალაქი და რამდენად შეესაბამება ეს ცნობა ისტორიულ სინამდვილეს? საკუთარი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ.

(1) **31.6.** რას ვუწოდებთ სამეფოს, რომელსაც ტექსტში ნახსენები მეფე ალექსანდრე განაგებდა?

(2) **31.7.** რომელ სახელმწიფოში მოღვაწე რომელი ქართული საგვარეულოს წარმომადგენელია ტექსტში ნახსენები დაუთ ხანი?

(1) **31.8.** რომელი სახელმწიფოს მმართველს უგზავნის დადიანი ხარკს და თქვენი აზრით, რით არის ეს განპირობებული?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **31.9.** თქვენი აზრით, რით იყო განპირობებული დადიანის მიერ გარკვეული პერიოდულობით სპარსეთის ხელმწიფესთან ელჩობის გაგზავნა?

(1) **31.10.** წყაროს მიხედვით, რატომ გადაურჩა ქართლი კახეთის მსგავს განადგურებას სპარსული ჯარის მიერ?

(3) **31.11.** სრულად ჩამოთვალეთ, რა ინფორმაციას გვაწვდის წყარო როსტომ-ხანის შესახებ.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

ინსტრუქცია დავალებისთვის № 32. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი დავალება და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. ყველა კითხვას გაეცით სრული და ამომწურავი პასუხი. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება 32. სადისკუსიო თემის განსაზღვრა

(1) **32.1.** რომელი კონკრეტული თემის განხილვისას გამოიყენებდით №31 დავალებაში მოცემულ ისტორიულ წყაროს, ჯუზეპე ჯუდიჩეს ცნობებს საქართველოს შესახებ?

(1) **32.2.** გაკვეთილზე განსახილველი თემის უმთავრესი საკითხის გათვალისწინებით ჩამოაყალიბეთ სადისკუსიო თემის სათაური.

(2) **32.3.** ჩამოაყალიბეთ ორი ალტერნატიული პოზიცია, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დისკუსიისას.